

აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების სტრატეგია

1. შესავალი
2. მიზნები
3. გეოგრაფიული დაფარვა
4. პრიორიტეტები, სამოქმედო მიზნები და ინდიკატიური ერთობლივი ღონისძიებები
5. მიზნობრივი ჯგუფები
6. ფინანსური სქემა
7. პროგრამის მართვის საკითხები
 - 7.1 ერთობლივი სამოქმედო პროგრამები (JOPs)
 - 7.2 ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი (JDMC)
 - 7.3 მმართველი ორგანო (MA)
8. ვადები
9. აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამა

1. შესავალი

2011 წლის 25 მაისის ერთობლივი განცხადება 'გამოხმაურება ახალი გამოწვევებზე'¹ ხაზს უსვამს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ტერიტორიული თანამშრომლობის აუცილებლობას და განიხილავს მას, როგორც როგორც რეგიონებს შორის, მდგრადი ფორმით, ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ ინსტრუმენტს. აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებს შორის ტერიტორიული თანამშრომლობა რეგიონული განვითარების პილოტურ პროგრამებთან (PRDPs), ასევე ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად, ხელს შეუწყობს სტრატეგიული და ინკლუზიური მეთოდის დანერგვას, რათა შემციდეს რეგიონში არსებული ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა და მოხდეს რეგიონის (შესაბამისად, სახელმწიფოს) ეკონომიკური პოტენციალის² რეალიზება. 2011 წლის 29-30 სექტემბრის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვარშავის სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში³, სამიტის მონაწილეებმა დაადასტურეს მრავალმხრივი თანამშრომლობა და აღიარეს, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის დახმარებით შესაძლებელია პარტნიორ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება.

აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის ENPI-ის 2010-2013 წლების რეგიონული სტრატეგიის დოკუმენტი და 2010-2013 წლის ინდიკატიური პროგრამა, პარტნიორ ქვეყნებს შორის ტერიტორიული თანამშრომლობას განიხილავს, როგორც მე-2 პრიორიტეტული სფეროს: "ეკონომიკური განვითარება", ერთ-ერთ ქვე-პრიორიტეტს. აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს შორის ორმხრივი ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამებისთვის ევროკომისიამ გამოყო 12.5 მილიონი ევრო (2013 წლის 22 ნოემბრის C(2013)8293 კომისიის საიმპლიმენტაციო გადაწყვეტილება).

აღმოსავლეთის პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის სტრატეგია, რომელიც შემუშავებულია კომისიის მიერ პარტნიორ ქვეყნებთან კონსულტაციების შედეგად, განსაზღვრავს პრიორიტეტებს, შესაბამის რეგიონებს, მიზნობრივ ჯგუფებს, ფინანსურ სქემასა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, სომხეთი-საქართველოს, აზერბაიჯანი-საქართველოს, ბელარუსი-უკრაინისა, და მოლდოვა-უკრაინის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების მართვის ძირითად საკითხებს.

სტრატეგიაში განსაზღვრულია ტერიტორიული თანამშრომლობის ღონისძიებების მომზადებისა და განხორციელების პროგრამა.

2. მიზნები

EaPTC-ის თითოეული პროგრამის ზოგადი მიზანია მე-3 პუნქტში მითითებული მონაწილე სასაზღვრო რეგიონებს შორის მდგრადი ტერიტორიული თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათი სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით. კონკრეტული მიზანია, ადგილობრივი ხელისუფლებას, გაერთიანებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ტრანს-

¹ COM(2011) 303 საბოლოო, 25.5.2011

² SWD(2012) 109 საბოლოო, 15.5.2012

³ ევროკავშირის საბჭო, 14983/11, 30.09.2011

სასაზღვრო კონტაქტების გაძლიერება აღნიშნულ რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური განვითარების საერთო გამოწვევებთან დაკავშირებით, ერთობლივი გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.

3. გეოგრაფიული დაფარვა

აღმოსავლეთის პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამები დაფარავს შემდეგ რეგიონებს:

- EaP ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა **უკრაინა-ბელარუსი**
ბელარუსი: ბრესტისა და გომელის ოლქები
უკრაინა: ვოლინის, რივნეს, ჟიტომირის, კიევისა და ჩერნიგოვის ოლქები
- EaP ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა **მოლდოვა-უკრაინა**
მოლდოვა: ქვეყნის მთლიანი ტერიტორია
უკრაინა: ჩერნიგოვის, ვინიციას და ოდესის ოლქები
- EaP ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა **საქართველო-სომხეთი**
საქართველო: სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები
სომხეთი: შირაკი, ლორი და თავუშის რეგიონები (მაზრები)
- EaP ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა **საქართველო-აზერბაიჯანი**
საქართველო: ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონები
აზერბაიჯანი: განჯა-გაზახისა და შექი-ზაქათალის ეკონომიკური რეგიონები

4. პრიორიტეტები, სამოქმედო მიზნები და ინდიკატიური ერთობლივი ღონისძიებები

EaP ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამები განიხილავს აღნიშნული რეგიონების ადგილობრივი განვითარების საჭიროებებს, რაც დეტალურად იქნება გაწერილი ერთობლივ სამოქმედო პროგრამებში (JOPs) (იხილეთ ქვე-პარაგრაფი 7.1). მონაწილე ქვეყნების მიერ მოხდება პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრა, ამ ქვეყნების კონკრეტული გეოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი მდგომარეობის საფუძველზე. აღნიშნული პრიორიტეტები დაიფარება ადგილობრივ პარტნიორობის შორის მცირე მასშტაბის ტრანს-სასაზღვრო პროექტებით, რომელთა შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

სამოქმედო მიზნების, პრიორიტეტებისა და ერთობლივი ღონისძიებების ინდიკატიური და არასრული სია წარმოდგენილია ქვემოთ. სავალდებულო არ არის, EaP ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამები ყველა მათგანს მოიცავდეს. პროგრამებში მითითებული უნდა იყოს ის შერჩეული პრიორიტეტები და ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია ერთობლივ სამოქმედო პროგრამაში.

I. სასაზღვრო რეგიონებში ადგილობრივი თემების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშემწყობი ერთობლივი პროექტების საშუალებით.

სამოქმედო მიზანი I საფუძველზე, პროგრამებით გათვალისწინებული სავარაუდო პრიორიტეტები:

- ადგილობრივი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდა (i) ბიზნეს-მომსახურებების გაუმჯობესებით, როგორცაა მარეგულირებელ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა (გადასახადები, საბაჟო, ბაზარზე შესვლა და გამოსვლა); (ii) ტრანს-სასაზღვრო საქმიანი კავშირების დამყარების გზით და (iii) ადგილობრივი მეწარმეების გადამზადებით;

- ერთობლივი ტურისტული მარშრუტების შემუშავება, როგორც ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ისტორიული და კულტური მემკვიდრეობის გათვალისწინებით;
- ერთობლივი გადაწყვეტილებების შემუშავება სასაზღვრო რეგიონებში არსებულ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ახალგაზრდების უმუშევრობაზე, პროფესიონალი კადრების გადინებაზე, ასევე ადგილობრივ დონეზე განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობაზე;

სავარაუდო ღონისძიებები:

- ერთობლივი ინიციატივები მცირე და საშუალო საწარმოების/ბიზნესის/სოფლის მეურნეობის/სოფლის განვითარებასთან დაკავშირებით, მათ შორის საქმიანი კავშირების დამყარება და სამეწარმეო ქსელების შექმნა;
- სოციალური პროექტები, რომლებიც ემსახურება ადგილობრივი თემების განათლების, სოციალური მომსახურების ან სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
- განვითარებისა და დაგეგმვის ერთობლივი კონცეფციების იდენტიფიცირება და დამუშავება.
- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების და გამოყენებითი პაკეტების შემუშავება ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების დროს იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის საჭირო სახსრები.
- მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს სასაზღვრო რეგიონების გაუმჯობესებულ კავშირს/ხელმისაწვდომობას.
- ერთობლივი ტურისტული მარშრუტების, მომსახურებებისა და სტრატეგიების შემუშავება.

II. გარემოს დაცვის, დასაქმების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ცხოველთა ჯანმრთელობის ან სასაზღვრო რეგიონების, სხვა საერთო ინტერესების სფეროში, საერთო გამოწვევების გადაწყვეტა

სამოქმედო მიზანი II საფუძველზე, პროგრამებით გათვალისწინებული სავარაუდო პრიორიტეტები:

- დაცული ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების ერთობლივი მართვის ხელშეწყობა, ინფორმაციის გაცვლით, დაცვის მექანიზმებისა და მეზობელ რეგიონზე (ები) ჰაერისა და წყლის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედების პრევენციის მექანიზმების კოორდინირებით;
- საზღვრისპირა რეგიონების საგანგებო სიტუაციების სამსახურებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება იმ საერთო გამოწვევის გადაჭრის მიზნით, როგორცაა ტრანს-სასაზღვრო წყალდიდობები, ხანძრები ტყეებში, ჰაერისა და წყლის დაბინძურება;
- ადგილობრივ და რეგიონულ ორგანიზაციებსა და საზღვრების ფარგლებში, პროფესიონალებს შორის, პირდაპირი კონტაქტების დამყარება და განვითარება.

სავარაუდო ღონისძიებები:

- ბუნებრივი რესურსების (მაგ: წყალი) და დაცული ტერიტორიების ერთობლივი მონიტორინგი და მენეჯმენტი;
- საზღვრებს შორის გარემოსდაცვითი მონაცემების გაცვლის სისტემების შექმნა;

- ეკონომიკური საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედების შესუსტებისა და დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი ან კოორდინირებული ღონისძიებები;
- სასაზღვრო, მცირე მასშტაბის გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ერთობლივი ღონისძიებები ნარჩენების მართვის, ენერჯის დაზოგვის ან სხვა სფეროში;
- საზოგადოებრივი კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავს სასაზღვრო რეგიონებში გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდას;
- ერთობლივი სტრატეგიები და ღონისძიებები დაბინძურებული ადგილების აღსადგენად;
- ადგილობრივ და რეგიონულ გარემოსდაცვით ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის ერთობლივი ღონისძიებები;
- სტიქიური და ტექნოგენური კატასტროფების მართვის მიზნით ადგილობრივი და რეგიონული მზაობის გაზრდა;
- საგანგებო სიტუაციათა სამსახურებს შორის თანამშრომლობა, მათ შორის ერთობლივი კვლევები და ტრენინგები;
- ერთობლივი ღონისძიებები ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ზეგავლენის შემსუბუქების მიზნით (ბელარუსი-უკრაინის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის შემთხვევაში);
- განათლების, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურებების, ასევე აღნიშნული მომსახურებების დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების, ერთობლივი ღონისძიებები;
- ერთობლივი სტრატეგიები/პილოტური პროექტები მოწყვლადი და მარგინალიზირებული ჯგუფების სოციალური დახმარებისა და ადაპტაციის შესახებ; თანამშრომლობის ღონისძიებებში მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა ინფექციური დაავადებების პრევენციის, მონიტორინგისა და მკურნალობის კუთხით.

III. კულტურა, განათლება და სპორტი

სამოქმედო მიზანი III საფუძველზე, პროგრამებით გათვალისწინებული სავარაუდო პრიორიტეტები:

- საერთო კულტურული/სპორტული ღონისძიებებისა და შეხვედრების, როგორც სასაზღვრო რეგიონებიდან ხალხის ერთად შეკრების, შესაძლებლობის ხელშეწყობა;
- საზღვრისპირა რეგიონების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაზრდა;
- კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება სახალხო ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე ზემოაღნიშნული სამი პრიორიტეტის საფუძველზე, კონტაქტების გამდიერებას.

სავარაუდო ღონისძიებები:

- კულტურული თანამშრომლობის გაღრმავება (მაგ: ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა, ახალგაზრდების კულტურული გაცვლების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა);
- ტრადიციული ხელით ნაკეთი ნივთების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

- ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა (მაგ: მთლიანი სასაზღვრო ტერიტორიის შესახებ საერთო ინფორმაცია, საინფორმაციო სფეროს პროფესიონალებს შორის თანამშრომლობის ქსელი);
- ერთობლივი კულტურული და ისტორიული კვლევები და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობები, ასევე საერთო მონაცემთა ბაზის/კულტურული ნივთების რეესტრის და შექმნა;
- კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის საგნების მცირემასშტაბიანი რესტავრაცია;
- განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა (მაგ: ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები);
- ერთობლივი სპორტული ღონისძიებები და სხვა აქტივობები ახალგაზრდებისთვის, გართობისა და დასვენების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
- დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება (მაგ: კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ძირითადი შეთანხმებები).

5. მიზნობრივი ჯგუფები

პროექტის ბენეფიციარები შესაძლოა იყვნენ:

- **სახელმწიფო სუბიექტები:** ადგილობრივი და რეგიონული ორგანოები და საზოგადოებრივი მომსახურების პროვაიდერები, როგორცაა საავადმყოფოები, საგანმანათლებლო, კვლევისა და კულტურული დაწესებულებები, კომუნალური მომსახურების პროვაიდერები, ასოციაციები;
- **არა-სახელმწიფო სუბიექტები:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მთელი თავისი მრავალფეროვნებით (დამოუკიდებელი პოლიტიკური და კვლევის ფონდები, მოქალაქეთა ინიციატივები და კავშირები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, მცირე და საშუალო ბიზნეს-ასოციაციები და ა.შ).

სახელმწიფო ხელმძღვანელ პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მეზობელ ქვეყნებთან ტერიტორიული თანამშრომლობის გაღრმავებით, ასევე შეუძლიათ, ჩამოაყალიბონ დაინტერესებულ პირთა ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფში შევლენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წევრები, რომლებიც კურირებენ ეკონომიკური, რეგიონული და (საჭიროების შემთხვევაში) ინფრასტრუქტურული განვითარების სფეროებს. აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ შესაბამისი ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების პრიორიტეტებისა და ღონისძიებების განსაზღვრაში.

EaP ტერიტორიული თანამშრომლობის თითოეული პროგრამა უნდა მოიცავდეს როგორც სახელმწიფო, ისე არა-სახელმწიფო სუბიექტებს. ტერიტორიული თანამშრომლობის პროექტებთან დაკავშირებით მხარდაჭერის მისაღებად, დაინტერესებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ამგვარი პროექტების მომზადებისა და განხორციელების უნარი. კვალიფიკაციასთან და ხარისხთან დაკავშირებული დეტალური მოთხოვნები განისაზღვრება ერთობლივ სამოქმედო პროგრამებში, ასევე აპლიკანტების სახელმძღვანელო მითითებებში.

EaP ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამები განკუთვნილია მხოლოდ არაკომერციული ტიპის ორგანიზაციის საქმიანობის ხელშესაწყობად.

6. ფინანსური სქემა

EaP ტერიტორიული თანამშრომლობის ოთხივე პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 9.3 მილიონ ევროს. შესაბამისი რეგიონების პოპულაციის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეებისა და აბსორბციულობის მიხედვით, თანხების ინდიკატიური გადანაწილება ნაჩვენებია ქვემოთ:

აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა	ბიუჯეტის (მილიონი €)	განაწილება
უკრაინა-ბელარუსი		3.30
მოლდოვა-უკრაინა		3.30
საქართველო-სომხეთი		1.35
საქართველო-აზერბაიჯანი		1.35
ჯამი		9.30

თანხების განაწილება შესაძლოა შეიცვალოს და განსხვავებული იყოს აღნიშნული მაჩვენებლებისგან, რაც დამოკიდებულია თითოეული პროგრამის ფარგლებში წარდგენილი პროექტის განაცხადების მოცულობასა და ხარისხზე. აღნიშნული მაჩვენებლებისგან გადახვევები უნდა დამტკიცდეს ევროკომისიის მიერ მმართველი ორგანოს (MA) რეკომენდაციის შემდეგ (იხილეთ ქვე-პარაგრაფი 7.3)

შერჩეულ საოპერაციო პროექტებში ევროკავშირის მონაწილეობრივი წილი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ნებადართული ხარჯების 90 პროცენტს. ნებადართული ხარჯების სულ მცირე 10%-ის თანა-დაფინანსებას უზრუნველყოფენ პროექტის ბენეფიციარები.

7. პროგრამის მართვის საკითხები

7.1. ერთობლივი სამოქმედო პროგრამები

მონაწილე ქვეყნები ამზადებენ ერთობლივი სამოქმედო პროგრამის (JOP) პროექტს, სადაც მითითებული იქნება (i) ის საერთო გამოწვევები, რომლებსაც მონაწილე ქვეყნები ერთობლივად გადაწყვეტენ შესაბამის სასაზღვრო რეგიონებში, (ii) მიზნები, პრიორიტეტები და ღონისძიებები, (iii) პრიორიტეტების მიხედვით ნაღდი ფულადი სახსრების ინდიკატიური განაწილება, (iv) აპლიკანტებისა და პროექტების მისაღების კრიტერიუმები და (v) პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგია და მონიტორინგის პირობები⁴.

ერთობლივ სამოქმედო პროგრამას დაამტკიცებს ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი (JDMC) (იხილეთ ქვე-პარაგრაფი 7.2). პროგრამა ასევე შეთანხმდება ევროკომისიასთან.

EaP ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამით (იხილეთ პუნქტი 9) შესაძლებელია პარტნიორი ქვეყნებისთვის დახმარების გაწევა ერთობლივი სამოქმედო პროგრამების მომზადებაში. აღნიშნულ პროცესში კონსულტაციების მიღება შესაძლებელი იქნება მმართველი ორგანოს მხრიდან.

ევროკომისია, EaP ტერიტორიული თანამშრომლობის ოთხივე პროგრამისათვის, დანიშნავს მმართველ ორგანოს. მონაწილე ქვეყნები შექმნიან ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღებ კომიტეტს, თითოეული პროგრამის ფარგლებში.

7.2. ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი (JDMC)

⁴ საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს რეგიონული და/ან ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები. უნდა იქნას აღწერილი ერთობლივ სამოქმედო გეგმებსა და შესაბამის ეროვნულ/ადგილობრივ სტრატეგიებს შორის თანხვედრის დონე.

JDMC-ში წარმოდგენილი იქნებიან ცენტრალური მთავრობის, ადგილობრივი ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSOs) წარმომადგენლები - მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელი - ყოველი მონაწილე ქვეყნიდან. ევროკავშირის, მმართველი ორგანოსა და EaP ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამის წარმომადგენლებს შეეძლებათ საკუთარი სურვილით, დაესწრონ კომიტეტების შეხვედრებს, დამკვირვებლების სტატუსით. JDMC-ი უზრუნველყოფს მონაწილე რეგიონების მიერ პროგრამის მფლობელობას.

JDMC-ს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

- ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მიზნებისა და ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის პრიორიტეტების დამტკიცება;
- ტერიტორიული თანამშრომლობის პრიორიტეტების მიხედვით, პროგრამის რესურსების ოპტიმალური გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ევროკომისიის და/ან GIZ-ის, როგორც GIZ-სა და ევროკომისიას შორის 2013 წლის 16 დეკემბრის დელეგირების ხელშეკრულებით განსაზღვრული მმართველი ორგანოს, მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი პროგრამული ცვლილების შესახებ კონსულტირება;
- ევროკომისიასთან ერთად აპლიკანტებისთვის მმართველი ორგანოს მიერ მომზადებული სახელმძღვანელო მითითებების შესახებ კონსულტირება;
- პროექტის შეფასების შედეგების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რომელიც უნდა დაამტკიცოს ევროკომისიამ;
- პროგრამის იმპლემენტაციის მიმდინარეობის მიმოხილვა;
- მმართველი ორგანოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიმოხილვა.

JDMC-ის დაფუძნება შესაძლებელია მოსაზღვრე ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი კომისიების ფარგლებში ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელსაც მონაწილე ქვეყნები მიზანშეწონილად ჩათვლის. მნიშვნელოვანია JDMC-ში ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ბალანსის დაცვა.

EaP-ის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამის საფუძველზე შექმნილი ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტები კონსულტაციებს გამართავენ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა განსაზღვრონ EaP ტერიტორიული თანამშრომლობის თითოეული პროგრამის პრიორიტეტები, რომლებიც შეტანილი იქნება ერთობლივ სამოქმედო პროგრამაში. მათ უნდა უზრუნველყონ კონსულტაციებში ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მხრიდან დაბალანსებული ჩართულობა. გარანტირებული იქნება ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პროცესის მართვა.

7.3. მმართველი ორგანო (MA)

EaP-ის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამებს, არაპირდაპირი ცენტრალიზებული მართვის საფუძველზე, განხორციელებს GIZ (Deutsche Gesellschaft Für Internationale Zusammenarbiет) რომელიც თავად იქნება მმართველი ორგანო.

მმართველი ორგანო პასუხისმგებელია ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების ოპერატიულ და ფინანსურ მართვაზე.

მმართველ ორგანოს შეუძლია ხელი მოაწეროს საგრანტო ხელშეკრულებებს ბენეფიციარებთან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროკომისია დაამტკიცებს დაფინანსებისთვის შერჩეული პროექტების საბოლოო ჩამონათვალს.

ევროკომისია და მმართველი ორგანო კონსულტაციებს გაუწევენ ერთობლივი გადაწყვეტილებების მიმღებ კომიტეტებს.

8. ვადები

EaP-ის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების მომზადებისა და დაწყების ინდიკატიური კალენდარი:

დაინტერესებულ პირთა კონსულტაციები ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების პრიორიტეტების დადგენის მიზნით	სექტემბერი - ოქტომბერი 2013
ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტების შექმნა	ნოემბერი 2013
ევროკომისიის ფინანსური გადაწყვეტილება	22 ნოემბერი 2013
ერთობლივი სამოქმედო პროგრამების მიღება	აპრილი/მაისი 2013
კონკურსის გამოცხადება	ივნისი/ივლისი 2014

EaP-ის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების ინდიკატიური საიმპლიმენტაციო პერიოდია 60 თვე, რომელიც ექვემდებარება ცვლილებას, ევროკომისიასა და მმართველ ორგანოს შორის შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული პერიოდის ათვლა დაიწყება ევროკომისიასა და GIZ -ს შორის დელეგირების ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და გაგრძელდება პროგრამების დასრულებამდე.

შერჩეული პროექტების განხორციელების მაქსიმალური პერიოდი განისაზღვრება თითოეული გამოცხადებული კონკურსის სახელმძღვანელო მითითებებში. პროექტები განხორციელდება ზემოთ მითითებულ პერიოდში. ღონისძიებები უნდა დასრულდეს პროგრამების დახურვამდე.

9. EaP-ის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამა

ევროკომისიამ EaP-ის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება დაიწყო 2012 წლის დეკემბერში რათა: (ა) შექმნილიყო ხელსაყრელი გარემო მე-3 პუნქტში მითითებული პროგრამების შესრულების თვალსაზრისით; და (ბ) გაძლიერებულიყო ადგილობრივ და რეგიონულ სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების შესაძლებლობები, ტერიტორიული თანამშრომლობის პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

EaP-ის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მე-5 პუნქტში აღწერილი პოტენციური ბენეფიციარების დეტალური შესწავლა, რის საფუძველზეც წარმოდგენილი იქნა მათი საბაზისო შესაძლებლობების ანალიზი. პროგრამის ფარგლებშივე იქნა განხორციელებული კომპეტენციის ამაღლების კონკრეტული გეგმა, პროგრამის შემუშავებისა და

განხორციელებისათვის, დაინტერესებულ მხარეთა მოსამზადებლად. JDMC-ს წევრებს შეუძლიათ მიმართონ EaP ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამას ნებისმიერ ასპექტზე, რაც EaP ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას ეხება. კომპეტენციის ამაღლების გარდა, EaP ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამები ასევე უზრუნველყოფს საკომუნიკაციო და თვალსაჩინო აქტივობებს, EaP ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობადობის ასამაღლებლად და დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობების გასაცნობად.

DRAFT